საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 27 მაისი, 2021 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/30

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 8^4 მუხლის, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2021 წლის 16 მარტის კანონისა და სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 და 71-ე მუხლების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს თანდართული საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების პროექტი, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **(დანართი №1)** და განმარტებით ბარათთან ერთად **(დანართი №2)** წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ.ჭიჭილეიშვილი**

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021
წლის 27 მაისის №04-01/30 დადგენილების
დანართი №1

პროექტი

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის
ბრძანება №---
2021 წლის --- ----------
ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის“ წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებაში (ვებგვერდი, 111207012, 09/12/2011; სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.054.016014) და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესდების:

1. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უნივერსიტეტის სრული სახელწოდებაა: სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი“. უნივერსიტეტის შემოკლებული სახელწოდებაა „ბხსუ“. უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: ბათუმი 6000, ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას №19/32.“.

2. მე-9 მუხლის „ი¹“ და „ი²“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი¹) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით ამტკიცებს სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტებს სამაგისტრო გამოცდებისთვის, აგრეთვე ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;

ი²) აწესებს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საერთაშორისო გამოცდების ჩამონათვალით გათვალისწინებულ გამოცდაში ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;“.

3. მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. გადაწყვეტილების მიღება

აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.“.

4. მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შეიმუშავებს უნივერსიტეტის წესდებას აკადემიური საბჭოს მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს;“.

5. 66-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. უნივერსიტეტის უძრავი ქონების ან მისი ნაწილის შეძენა, გასხვისება ან იჯარით გაცემა შეიძლება მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3¹.უნივერსიტეტის მოძრავ ქონებასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება, თუ იგი სცილდება საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებს, შეიძლება მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

6. 68-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 68. უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო არის საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას. სამინისტრო უფლებამოსილია, მოსთხოვოს უნივერსიტეტს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო ნებისმიერი მასალისა და ინფორმაციის წარმოდგენა.“.

7. 71-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უნივერსიტეტის წესდებას შეიმუშავებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის მინისტრი

თეა წულუკიანი

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021
წლის 27 მაისის №04-01/30 დადგენილების
დანართი №2

განმარტებითი ბარათი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის“ წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების პროექტზე

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებაში განსახორციელებელი ცვლილების პროექტის მიღება განპირობებულია უნივერსიტეტის მისამართის ცვლილებით, წესდებაში ტექნიკური ხასიათის შეუსაბამობის გასწორებით და აგრეთვე, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით, რომლის თანახმადაც, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო რეორგანიზებულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდ და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროდ და განისაზღვრა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებები განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადაეცეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხოლო კულტურისა და სპორტის სფეროში – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ჩაითვალონ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამონაცვლეებად საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში. ამასთან, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის თანახმად, კანონს დაემატა 8^4 მუხლი, რომლითაც განისაზღვრა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კომპეტენცია სახელოვნებო-შემოქმედებითი და სასპორტო უმაღლესი განათლების სფეროში.

1. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ცვლილება განაპირობა სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისამართის ცვლილებამ.

2. მე-9 მუხლის „$ი^1$“ და „$ი^2$“ ქვეპუნქტების ცვლილება განპირობებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეორგანიზებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდ და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროდ. საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებები განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადაეცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. აღნიშნულიდან გამომდინარე წესდებაში შეიცვალა სამინისტროს სახელწოდება.

3. მე-13 მუხლი შესაბამისობაში იქნა მოყვანილი წესდების მე-11 მუხლის მე-3 პუნქტთან. კერძოდ, წესდების მოქმედი რედაქციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ხოლო მე-13 მუხლის თანახმად, აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება საერთო შემადგენლობის 2/3. აღნიშნული წინააღმდეგობრივი ჩანაწერი გასწორდა და მე-13 მუხლშიც გაიწერა, რომ აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

4. მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ცვლილება განპირობებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეორგანიზებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდ და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროდ. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებები კულტურისა და სპორტის სფეროში გადაეცა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს. აღნიშნულიდან გამომდინარე წესდებაში შეიცვალა სამინისტროს სახელწოდება.

5. 66-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების ცვლილება განპირობებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეორგანიზებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდ და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროდ. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებები კულტურისა და სპორტის სფეროში გადაეცა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს. აღნიშნულიდან გამომდინარე წესდებაში შეიცვალა სამინისტროს სახელწოდება.

6. 68-ე მუხლის ცვლილება განპირობებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეორგანიზებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდ და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროდ. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 8^4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელოვნებო-შემოქმედებითი და სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. აღნიშნულიდან გამომდინარე წესდებაში შეიცვალა სამინისტროს სახელწოდება.

7. 71-ე მუხლის პირველი პუნქტის ცვლილება განპირობებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეორგანიზებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდ და საქართველოს კულტურის, სპორტისა და

ახალგაზრდობის სამინისტროდ. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებები კულტურისა და სპორტის სფეროში გადაეცა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს. აღნიშნულიდან გამომდინარე წესდებაში შეიცვალა სამინისტროს სახელწოდება.

ბრძანების პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

პროექტის ავტორი და წარმდგენი სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი.